# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 1094

დამატების № 193

კვირა, 19 იანვარი 1914 წ.




მუსიკა. ქანდაკება.

## კარმა*)

(ბუდდისტური ზღაპარი)

მდიდარი ოქრომჭედელი, ბრამინი პანდუ ეტლით ბენარესში მიდიოდა. წამოეწია იმავ გზაზე მიმავალ ბერსა. პანდუმ გაიფიქრა: „ამ ბერს სახე უმტკიცებს, კეთილშობილი ვინმეა, წმიდა კაცი სჩანს. კაი ხალხთან ყოფნა და დროს გატარება ბედნიერების წყაროა.

თუ ისაც ბენარესში მოდის, ეტლით წავიყვან“. მიესალმა ბერსა და ჰკითხა, საით მიემგზავრებიო. შეიტყო, თუ არა, რო ბერიც, რომელსაც ნარადა ერქვა, ბენარესში მიდიოდა, ეტლში მიიწვია.

— გმადლობ გულკეთილობისათვის მართლაც დავიღალე, შევწუხდი ამდენი სიარულით. საკუთრება არ გამაჩნია, რო ფულით დაგაჯილდოვო; მაგრამ იქნებ შევიძლო შეგძინო რაიმე სულიერი საუნჯე იმ ცოდნის სალაროდან, რომელიც მე დიდებულ საკია მუნის, ნეტარ ბუდდის მოძღვრების მიმდევრობით შემიძენია.

ეტლით გაუდგნენ გზასა. პანდუ სიამოვნებით ისმენდა ნარადას საგულისხმიერო მუსაიფს. ერთის საათის მგზავრობის შემდეგ ნახეს: გზა ჩახრამულა, ვიწრო გასავლელი და დარჩენილა. სწორედ ამ ადგილას შუა გზაზეა გაჩერებული გატეხილი ურემი.

ურმის პატრონიც, სახელად დევალა, ბენარესში მიდიოდა, ბრინჯი მიჰქონდა გასასყიდი. დევალა ჩქარობდა, უნდოდა მეორე დღეს სისხამ დილაზე უეჭველად ბენარესში მისულიყო. თუ დაუგვიანდებოდა, იქნებ ბრინჯის მუშტარი აღარავინ დაჰხვედროდა, რადგან იმის მისვლამდე, ვისაც რამდენი ბრინჯი ესაჭიროებოდა, ყველა უკვე მოასწრებდა ყიდვასა.

*) კარმა ბუდდისტური რწმენაა, რომლის თანახმად ყოველი სულდგმული დაბადებამდისაც არსებობდა; როცა იგი კვდება, არ კი ისპობა, არამედ სხვა სახეთ გარდაიქმნება. შემდეგ ის ახალი სახეც მოისპობა და არსება ხელ-ახლად განხორციელდება. იმ სახეს ღებულობს ესა თუ ის არსება ყოველ განსახიერების დროს და ახალს ცხოვრებაში იმ ბედს განიცდის, რის ღირსიც არის იმის მიხედვით, თუ რა გვარ ცხოვრებას ატარებდა იგი წინაარსებობაში. არამც თუ ხასიათი ადამიანისა, არამედ მისი ბედ-იღბალიც შედეგია მისივე ყოფაქცევისა წარსულ არსებობაში. სიკეთეში ჩავარდება იგი მომავალში გარდაქმნის შემდეგ, თუ სივაგლახეში, ესაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სცდილობს აწინდელს ცხოვრებაში ბოროტების თავიდან აცილებას და ზნეობრივ განსპეტაკებას. კარმა, ლ. ტოლსტოის აზრით მიემსგავსება თანამედროვე ბუნებისმეტყველების მიერ აღიარებულ მემკვიდრეობის კანონს, რომლის თანახმად ყოველი ადამიანი შედეგია თავის წინაპართა ფიზიკურ და სულიერ ორგანიზაციისა და თავის თვისებებს გადასცემს შთამომავლობას. კარმა, შეიძლება ითქვას, პოეტური წარმოდგენაა მემკვიდრეობის კანონისა.
ნ. ხ.



ი. გედევანიშვილის პიესა „სინათლე“. სურათი პირველი: მეფის ჯიმშერის ლხინი და ფერიების ცეკვა.

ოქრომჭედელმა რო ნახა, მისი ეტლი ვერ გაივლის, თუ ურემი გვერდზე არ მისწევს, გული მოუვიდა, გაბრაზდა და თავის მონას, მაგადუტას უბრძანა, გვერდზე მისწიე ურემი, რო ჩემმა ეტლმა გაიაროსო. მეურმე ურმის მიწევის ნებას არ აძლევდა, რადგან ურემი ხრამის პირას იყო გაჩერებული, ხელი რო ეხლოთ, იქნებ ხრამში გადაჩეხილიყო. მაგრამ ბოამინმა მეურმეს ყურიც არ ათხოვა და მონას უბძანა, რაც გითხარ, აასრულეო. მკლავ-ღონიერმა მაგადუტამ, რომლისათვისაც სიამოვნება იყო სხვისი დაჩაგვრა, აასრულა ბატონის ბრძანება და, ვიდრე ბერი მეურმეს გამოესარჩლებოდა, ურემი გვერდზე გადააგდო. პანდუ გზას გაუდგა. ბერი გადმოხტა ეტლიდან და უთხრა:

— უკაცრავად, ბატონო, რო თავს განებებ. დიდად გმადლობ, რო მთელი საათი ეტლით მატარე. მოქანცული ვიყავ, როცა ეტლში ჩამსვი. ეხლა კი შენის გულკეთილობის წყალობით დავისვენე. ეს მეურმე შენის ერთ-ერთ წინაპართაგანის განხორციელებაა. გულკეთილობისათვის სხვაფრივ უკედ ვერ დაგაჯილდოვებ, რომ ამ კაცს დავეხმარო გაჭირვებაში.

ბრამინმა გაკვირვებით შეხედა ბერსა.

— შენ ამბობ, ვითომც ეს მეურმე განხორციელება იყოს ჩემის ერთ-ერთ წინაპართაგანის? ეგ შეუძლებელია.

— ვიცი, მიუგო ბერმა: რო შენთვის გაუგებარია ის რთული კავშირი, რომელიც აერთებს შენს ბედ-იღბალს ამ მეურმის ბედთან. მაგრამ რა გასაკვირველია, რო ბრმა ვერა ხედავდეს! მეცოდები, რო შენს თავს შენვე ზიანს აყენებ, და ვეცდები დაგიფარო იმ უბედურებათაგან, რომელსაც შენს თავზე შენვე იწვევ.

მდიდარი ვაჭარი ნაჩვევი არ იყო გაკიცხვის მოსმენას. თუმცა ბერი გულკეთილობით ლაპარაკობდა, მაგრამ ვაჭარმა მაინც იგრძნო, რო ჰკიცხავდნენ. წარბი შეიკრა და მონას უბრძანა, გარეკე ჩქარა ცხენებიო.

ბერი მიესალმა მეურმეს, ხელი დაახმარა ურმის შეკეთებაში და დაფანტულ ბრინჯის აკრეფაში. საქმე სწრაფად კეთდებოდა. დევალამ იფიქრა: „ეს ბერი წმიდა კაცი უნდა იყოს. თითქო უხილავნი სულნი ეხმარებიან. მოდი, ვკითხავ, რით დავიმსახურე, რო ამაყი ბრამინი ასე სასტიკად მომექცა.

— ბატონო, ვერ ამიხსნით, რად მომაყენა უსამართლობა იმ კაცმა? მე მისთვის არასოდეს არა დამიშავებიარა.

ბერმა მიუგო:

„ჩემო ძმაო! შენთვის უსამართლობა არ მოუყენებიათ. ეს კია, რო აწინდელ არსებობაში შენ განიცადე ის, რაც იმ ბრამინს მიაყენე წინანდელ ცხოვრებაში. არ შევცდები, თუ ვიტყვი, იმ ბრამინის ადგილს შენ რო ყოფილიყავი და ისეთი მკლავ-ღონიერი მონა გყოლოდა, შენც ისევე მოიქცეოდი.

მეურმე გამოტყდა: მართალია.

აკრიფეს ბრინჯი და გზას გაუდგნენ. ბერი და მეურმე უკვე ბენარესს უახლოვდებოდნენ, უცბად ცხენი შეფრთხა და გვერდზე მიუხვია.

— გველი, გველი! დაიძახა მეურმემ.

ბერი დააცქერდა საგანს, რამაც ცხენი შეაფრთხო, ჩამოხტა ურმიდან და ნახა, გზაზე ქისა გდია ოქრო-ვერცხლით სავსე.

— ეს ქისა უეჭველად იმ მდიდარ ოქრომჭედელს დაეკარგებოდა, გაიფიქრა ბერმა, აიღო, მეურმეს მიაწოდა:

— აჰა, წაიღე ეს ქისა. ბენარესში სასტუმროში მიდი, იკითხე ბრამინი პანდუ და გადაეცი. ის გიდიშს მოიხდის, გზაზე გულ-ქვათ მოვიქეციო. მაგრამ შენ უთხარი, რო უკვე შეუნდე და დავიწყებას მიეცი მისი საქციელი. უსურვე გამარჯვება ყოველ საქმეში, რადგანაც, რაც უფრო უკედ წავა მისი საქმეები, მერწმუნე, იმდენად უკეთესია შენთვის. შენი ბედი იმის ბედზე მრავალ მხრივ არის დამოკიდებული. თუ პანდუ რაიმე განმარტებას მოითხოვს, მონასტერში გამოგზავნე. მე ყოველთვის მზად ვიქნები დავეხმარო რჩევით, თუ ჩემი რჩევა მისთვის საჭირო იქნება.

ამასობაში პანდუ მივიდა ბენარესში და შეხვდა თავის კაი ნაცნობს, მდიდარს ვაჭარს მალმექას.

— დავიღუპე, უთხრა მალმექამ: თუ ეხლავე არ ვიყიდი ერთ ურემს საუკეთესო ბრინჯს მეფის სამზარეულოსათვის. ბენარესში ერთი მდიდარი ვაჭარია, ჩემი მტერი. გაიგო თუ არა, რო მე პირობით შევეკარი მეფის მზარეულთ-უხუცესს და ვალდებული ვარ უსათუოდ ვუშოვო და მივუტანო დღეს დილითვე ერთი ურემი ბრინჯი, რო დამღუპოს, ჯიბრით სულ მთლად იმან იყიდა, რაც ბრინჯი შემოვიდა ბენარესში. მეფის მზარეულთ-უხუცესი არ გამანთავისუფლებს ვალდებულებისაგან და ამიტომ უეჭველად დავიღუპები, თუ კრიშნა *) ანგელოზს არ მომივლენს ზეციდან.

პანდუმ ჯიბეს იტაცა ხელი, ქისას დაუწყო ძებნა, ეტლიც დაათვალიერა ყურადღებით, ქისა არსად იყო. ეჭვი თავის მონაზე მიიტანა, უეჭველად ეს მომპარავდაო. მოიხმო პოლიციელნი, გაათოკინა მაგადუტა და სასტიკად აწამებინა, რო ქურდობაში გამოეტეხნა.

— გამიშვით, ნუ მტანჯავთ, უბრალო ვარ,—კვნესით იძახდა მონა: ოჰ, როგორ უნდა ავიტანო ეს წამება!.. მე სრულიად უდანაშაულო ვარ ამ საქმეში და ეხლა სხვათა ცოდვებისათვის ვიტანჯები. ოჰ, ნეტა შემეძლოს პატივება ვთხოვო იმ მეურმეს, რომელსაც გზაზე ისე ულმობელად მოვექეცი ჩემის ბატონის გულისთვის! ეხლა რო ვიტანჯები, ალბად იმ სისასტიკისათვის ვისჯები.

იმ დროს მეურმე მიუახლოვდა სასტუმროს. იქ მყოფთა განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მან დაკარგული ქისა პატრონს გადასცა. მონა გაანთავისუფლეს. მაგადუტა ძიელ გაბრაზებული იყო თავის ბატონზე, ამიტომ გაიქცა და მთებში მოთარეშე ყაჩაღთა ბრბოს შეუერთდა. როცა მალმექამ გაიგო, რო მეურმეს შეუძლიან მიჰყიდოს მეფის საკადრისი, საუკეთესო ბრინჯი, მაშინვე იყიდა, შეუვაჭრებლივ ერთი სამად იმაზე მეტი ფასი მისცა, რაც ბრინჯი ღირდა. პანდუ კი გახარებული, რო ოქროთი სავსე დაკარგული ქისა იპოვა, მო-

*) ღმერთი.



ი. გედევანიშვილის პიესა „სინათლე“ სურათი მეორე: ფერიები ბავშვების აკვნებთან.

ნასტრისკენ გაეშურა: უნდოდა ბერისგან დაპირებული დარიგება მოესმინა.

— მე აგიხსნიდი ყველაფერს, მაგრამ ვიცი, რომ შენ ვერ შეიგნებ სულიერ ჭეშმარიტებას; ამიტომ სიჩუმეს ვრჩეობ. მაგრამ საზოგადო რჩევას მაინც მოგცემ: ყოველ ადამიანს, ვისაც შეხვდები, ისე მოექეცი, როგორც შენს თავსა; ემსახურე ისევე, როგორც გსურდეს, რომ შენ გემსახურებოდნენ. ამ სახით დასთესე კეთილ საქმეთა თესლსა და უეჭველად მიიღებ უხვ სამკალს.

— გეთაყვა, ამიხსენი ხეირიანად, შეეხვეწა პანდუ, ჩემთვის უფრო ადვილი ასასრულებელი იქნება შენი რჩევა.

— „ყური მიგდე, მე ხელთ მოგცემ გასაღებს საიდუმლოებისას. თუ ნათლად ვერ შეიგნებ, გწამდეს, რასაც გეტყვი. ვინც ფიქრობს, რო ის კერძო არსებაა, თავს იტყუებს, და ვინც თავის ძალღონეს ხმარობს ამ კერძო არსების სურვილების ასასრულებლად, მაცდურ სინათლეს მისდევს, ეს მაცდური სინათლე კი ბიწიერების უფსკრულამდე მიიყვანს. ჩვენ თავს რომ კერძო არსებითად ვთვლით, ამის მიზეზი ის არის, რომ მაიის ბინდი გვაფარია თვალებზე დ გვიშლის იმ განუწყვეტელ ძაფის დანახვას, რომელიც გვაერთებს მოყვასთან, ჩვენის სულის სხვა არსებითა სულებთან. ბევრს ვერ შეუგნია ეს ჭეშმარიტება. ნიადაგ გახსოვდეს შემდეგი სიტყვებით:

„ვინც ზიანს აყენებს სხვას, ბოროტად ექცევა თავის თავსა.

„ვინც ეხმარება სხვას, სიკეთეს უშვრება თავის თავსა.

„ნულარ იფიქრებ, რომ კერძო არსება ხარ და შენ დადგები ჭეშმარიტების გზას“,

ვისაც მხედველობაზე მაიის ბინდი აქვს გადაკრული, იმას ჰგონია, რომ ქვეყნიერება ურიცხვ პიროვნებათაგან შესდგება. ასეთი ადამიანი ვერ შეიგნებს, რა მნიშვნელობა აქვს ყოველ ცოცხალ არსებისადმი უსაზღვრო სიყვარულსა“.

— შენს სიტყვებს, ბატონო ჩემო, ღრმა მნიშვნელობა აქვს და კარგადაც დავიხსომებ. გზად, ბენარესში რომ მივდიოდი, მცირე რამ სიკეთე მოვიქმედე, რაც ჩემთვის სულ ადვილი იყო: დაქანცული ღარიბი ბერი ეტლში ჩავსვი და ამას შედეგათ აი რა დიდი სიკეთე მოჰყვა. შენგან დიდათ დავალებული ვარ, რადგან უშენოდ არამც თუ დავკარგავდი ქისას, არამედ ვერც იმ სავაჭრო საქმეებს დავიჭერდი, რომელთაც შესამჩნევად შემმატეს ქონება. გარდა ამისა, შენმა გულკეთილობამ და ერთ ურემ ბრინჯის ქალაქში დროზე მოტანამ ხელი შეუწყო ჩემის მეგობრის მალმექას ბედის წალმა შეტრიალებას. თუ ყველა შეიგნებდა მაგ დარიგებებს, რაოდენ გაუმჯობესდებოდა ჩვენი ქვეყანა! რაოდენ შემცირდებოდა ბოროტება, მაშინ დამყარდებოდა საყოველთაო კეთილდღეობა. მსურს, რომ ბუდდის მცნება შეიგნოს ყველამ, ამიტომ მინდა მონასტერი დავაარსო ჩემს სამშობლოში, კოლშამბში. გთხოვ, მეწვიო, დამეხმარო და შემაძლებინო მოვახმარო ეს ადგილი ბუდდის მოწაფეთა ძმობას.

განვლეს წლებმა. პანდუს მიერ დაარსებულმა კოლშამბის მონასტერმა დიდი სახელი გაითქვა. იქ იკრიბებოდნენ ბრძენი ბერები. იქიდან განათლება უხვად ეფინებოდა ხალხსა.

ამ დროს მეზობელ ხელმწიფეს ამბავი მიუვიდა, პანდუ საუცხოვო ძვირფასს სამკაულს ამზადებსო. თავის ხაზინადარი გაუგზავნა და შეუკვეთა: სამეფო გვირგვინი გამიკეთე წმინდა ოქროსი და ინდოეთის უუძვირფასეს ქვებით მორთეო.

როცა დაამზადა შეკვეთილი გვირგვინი, პანდუ ხელმწიფის სატახტო ქალაქისაკენ გაემგზავრა. თან ოქრო-ვერცხლიც ბლომად წაიღო, იქნებ ვივაჭრო რამეო. შეიარაღებული ხალხი მისდევდა ქარავანს, რომელსაც მისი ძვირფასეულობა მიჰქონდა. მთებს რო მიუახლოვდა ქარავანი, უეცრად თავს დაესხა მაგადუტა თავისი ამხანაგებით (მაგადუტა ყაჩაღთა ბელადი გამხდარიყო), თავზარი დასცა დარაჯებს და გაიტაცა ძვირფასი ქვები და ოქრო-ვერცხლი. თვით პანდუ ძლივს გადარჩა სიკვდილს. ეს დიდი უბედურება იყო პანდუს კეთილდღეობისათვის. მისი ქონება შესამჩნევად შემცირდა.

დაღონდა პანდუ, მაგრამ უსიტყვოთ ითმენდა უბედურებას. ფიქრობდა: ეს უბედურება მე ცოდვებით დავიმსახურე, იმ ცოდვებით, რომელიც მიმიძღვის ჩემს წინანდელს ცხოვრებაში. ყმაწვილობაში სასტიკი ვიყავი, შეუბრალებელი და თუ ეხლა ვიმკი ნაყოფს ჩემის ცუდის ყოფაქცევისას, რა უფლება მაქვს ღმერთს ვაყვედრიდე და ვემდურებოდეო.

რადგან ის გაცილებით უფრო მეტის გულკეთილობით ეპყრობოდა ყველას, ამიტომ უბედურებამ უფრო გააფაქიზა მისი გული, განასპეტაკა მისი სული.

კიდევ გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ ახალგაზდა ბერი პანტაკა, მოწაფე ნარადასი, კოლშამბის მთებში მოგზაურობის დროს ხელში ჩაუვარდა ავაზაკებს. რადგან საკუთრება არა გააჩნდა რა, ავაზაკთა ბელადმა ლაზათიანად მიბეგვა და გაუშვა.

მეორე დღეს პანტაკა ტყე-ტყე მიდიოდა. შეესმა ბრძოლის ხმაურობა. გაეშურა იქით, საიდანაც ხმა მოისმოდა და ნახა, ავაზაკები შემოჰხვევიან თავიანთ ბელადს მაგადუტას და ცხარედ ებრძვიან.

მაგადუტა გალომებული ებრძოდა თავის ამხანაგებს, მრავალი მათგანი გამოასალმა წუთისოფელს. მაგრამ რას გახდებოდა? ბოლოს თითონაც განგმირული და ღონე-მიხდილი ძირს დაეცა გულ-შეწუხებული.

რა წამს ავაზაკები აქეთ-იქით გაიფანტნენ, ახალგაზდა ბერი მიუახლოვდა დაჭრილებს დახმარების აღმოსაჩენად. სიცოცხლის ნიშან-წყალი მეთაურს ღა ემჩნეოდა; სხვები უსულოდ ეყარნენ. ბერი გაიქცა წყაროსკენ, იქვე ახლოს რო ჩაჩხრიალებდა, ლიტრით წყალი მიარბენინა და მიაწოდა მომაკვდავს.

მაგადუტამ თვალები გაახილა და კბილების კრაჭუნით წამოიკვნესა: „რა იქნენ ის უმადური ძაღლები... რო იმარჯვებდნენ და დავლას შოულობდნენ, ჩემი უნარი არ იყო? უჩემოდ მალე დაიღუპებიან, როგორც მონადირის მიერ მომწყვდეული ტურები“.

— ნუ ფიქრობ ამხანაგებზე. ნუ იგონებ შენის ცოდვით აღსავსე ცხოვრების მონაწილეებსა,—უთხრა პანტაკამ,—იფიქრე სულზე, ისარგებლე უკანასკნელის წამით, იგებ ცხონება შესაძლოა შენთვის. აჰა წყალი, დალიე. მოიტა შევიხვევ ჭრილობებს. იქნებ გადაგარჩინო კიდეც სიკვდილსა.

— ეგ შეუძლებელია,—მიუგო მაგადუტამ: მორჩენილი საქმეა. არაკაცებმა სასიკვდილოდ დამჭრეს. უსინდისონი!.. უმადური ძაღლები!.. ჩემზევე იხმარეს ის ხერხები, რომელიც მტერთან საბრძოლველად ვასწავლე!..

— რაც დასთესე, ისვე მოიმკე,—უთხრა ბერმა: ამხანაგებისათვის კეთილი რამ რო გესწავლებინა, კეთილსვე მიიღებდი. მაგრამ კაცის კვლა ასწავლე და მათის ხელით შენვე ხარ მოკლული.

— მართალს ამბობ,—მიუგო ავაზაკთა ბელადმა: დავიმსახურე ბედი, რაც წილად მხვდა. მაგრამ რა მძიმეა ჩემი მომავალი ხვედრი! ეხლავე მაწუხებს აზრი, რომ შემდგომ არსებობაში უნდა მოვიმკო ჩემ ცუდ საქმეთა ნაყოფი! მასწავლე, წმიდაო მამაო, რითი შევიძლო, რომ ცხოვრება შევიმსუბუქო ცოდვათაგან? ცოდვები ლოდივით მაწვანან გულზე.

პანტაკამ მიუგო: „აღმოიფხვერ გულიდან ბოროტი სურვილები, მოსპე ცუდი გრძნობები, აღივსე გული კეთილ განზრახვებით ყველასადმი".

მრავალი ბოროტი საქმე ჩამიდენია, კეთილი კი სულ არ დამითესია. როგორ შევიძლო და განვთავისუფლდე იმ უბედურების ქსელისაგან, რომელიც მოვქსოვე ჩემის გულის ბოროტ განზრახვათაგან? ჩემი კარმა ჯოჯოხეთში ჩამითრევს, მე ვერასოდეს ვერ შევდგები ხსნის გზაზე.

„დიაღ, შენი კარმა მომავალ განხორციელებაში მოიმკის იმ თესლის ნაყოფსა, რაც დაგითესია. ბოროტ ადამიანს ხსნა არა აქვს თავის ბოროტ საქმეთა შედეგთაგან. მაგრამ სასწორწარკვეთილებას ნუ მიეცემი: ყოველ ადამიანს შეუძლიან ცხონდეს, მხოლოდ იმისათვის საჭიროა აღმოიფხვრას გულიდან შეცდომა, რომ იგი კერძო არსებაა. როგორც მაგალითს ამისას, მოგითხრობ ამბავს დიდის ავაზაკის კანდატასას, რომელიც ისე მოკვდა, რომ ცოდვათა მონანიება ვერ მოასწრო და ხელახლად დაიბადა ჯოჯოხეთში ეშმაკად, სადაც იგი თავის ბოროტ საქმეთა გულისთვის უსაშინელესად იტანჯებოდა. მრავალი წელი გაატარა ჯოჯოხეთში და ვერ შეეძლო თავი დაეხსნა საშინელ ყოფიდან. როცა ბუდდა მოვიდა ქვეყნად და მიაღწია ნეტარ ყოფას სულის და გონების განათლებისას.

ამ ღირსშესანიშნავ, სანეტარო დროს სინათლის შუქმა ჯოჯოხეთამდინაც მიაღწია. ყველა დემონებს სიცოცხლე და იმედი გაუღვიძა. ავაზაკმა კანდატამ ხმა-მაღლა შეჰღაღადა: „ნეტარო ბუდდავ! შემიბრალე!.. ძლიერ საშინლად ვიტანჯები, და, თუმცა მრავალი ბოროტება ჩამიდენია, ეხლა მსურს სიმართლისა და ჭეშმარიტების გზით ვიარო. მაგრამ რა ვქნა? თავი ვერ გამიღწევია უბედურებათა ქსელისაგან. დამეხმარე, უფალო, შემიბრალე!" კარმის კანონი ისეთია, რომ ბოროტი საქმენი დაღუპვისაკენ მიაქანებენ ადამიანსა.

ბუდდას რო შეესმა ხმა ჯოჯოხეთის სატანჯველში მყოფ დემონისა, ობობა გაუგზავნა ქსელით. ობობამ უთხრა: „მოეჭიდე ჩემს ქსელსა და ამოდი ჯოჯოხეთიდან". თქვა ეს ობობამ და უჩინარ იქმნა. კანდატა მოეჭიდა ქსელსა და იწყო მაღლა ამოსვლა. ობობას ქსელი არა წყდებოდა კანდატა სულ მაღლა და მაღლა მიდიოდა. უცბად იგრძნო, რო ძაფმა რხევა იწყო, რადგან მას შემდეგ სხვა ტანჯულნიც მოსჭიდებოდნენ ქსელსა და მაღლა ამოდიოდნენ. კანდატას შეეშინდა: ჰხედავდა, რო ობობას ქსელი წვრილი იყო და სიმძიმისაგან იძაგრებოდა. მაგრამ ქსელი მაინც იმაგრებდა. კანდატა აქამდის მხოლოდ ზევით იცქირებოდა, ეხლა კი ძირს ჩაიხედა და ნახა, რო ჯოჯოხეთის ურიცხვი მცხოვრებნიც იმ ქსელით მაღლა მიცოცავდნენ. ეს წვრილი ძაფი როგორ დაიძგნობს ამოდენა ხალხის სიმძიმესა,—გაივლო გულში და შეშინებულმა ხმა-მაღლა დაიძახა: „გაუშვით, ქსელი **ჩემია!**" ამ სიტყვების თქმა და ქსელის გაწყვეტა ერთი იყო, კანდატა ძირს ჩავარდა ჯოჯოხეთის ჯურღმულში.

კანდატას ჯერ ისევ ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ლანდი პიროვნების კერძოობისა, ცთომილი აზრი, რო იგი კერძო პიროვნებაა. მისთვის უცნობი ხილი იყო სასწაულებრივი ძალა ადამიანის გულწრფელ მისწრაფებისა სიწმინდისაკენ. მისწრაფება ესე სუსტია და წვრილი ობობას ქსელივით, მაგრამ დაიძგნობს მარავალ მილიონს ადამიანსა და რამდენადაც უფრო მეტნი მიცოცდებიან ქსელზე, იმდენად უფრო ადვილია თვითეულისათვის. მაგრამ რა წამს ადამიანის გულში აღიძვრება აზრი. რო ეს ქსელი **ჩემია**, რო სიწმიდის კეთილი ნაყოფი **მარტო მე** მეკუთვნისო და ჩემი მონაწილე სხვა არავინ არ უნდა იყოსო, იმ წამსვე სწყდებიან ძაფი და ადამიანი პიროვნების კერძოობის წინანდელ ყოფაშივე ვარდება. პიროვნების კერძოობა კი წყევაა, ერთობა—კურთხევაა, მადლია. რა არის ჯოჯოხეთი მხოლოდ თვით მოყვარეობაა, ნირვანა კი საერთო ცხოვრება...

— ხელი წამავლებინე იმ ობობას ქსელისათვის,—უპასუხა მომაკვდავმა მაგადუტამ, როცა ბერმა გაათავა ამბავი,—და მე დავაღწევ თავს ჯოჯოხეთის გეენიასა.

მაგადუტა რამდენსამე წამს გარინდებული იყო, ბოლოს გონება მოიკრიბა და მოჰყვა თავის თავგადასავალს:

— „ყური დამიგდე, ყველაფერში გამოგიტყდები. მე მონა ვიყავი კოლშამბელ ოქრომჭედლის პანდუსი. მაგრამ, როცა მან უსამართლოდ მტანჯა და მაწამა, გავექეცი და ავაზაკობა დავიწყე. ამხანაგებმა ბელადად ამირჩიეს. ამას წინად „მზვერავებმა ამბავი მომიტანეს, პანდუ მთებში გაივლისო. მე ჩემის ამხანაგებით თავს დავესხი, გავძარცვე, წავართვი უდიდესი ნაწილი სარჩო-საბადებლისა. ეხლა წადი იმასთან და ჩემის მხრივ გადაეცი, რო მე გულწრფელად მივუტევე შეცოდება, სრულს დავიწყებას მივეცი ის შეურაცხყოფა, რომელიც მან მომაყენა. თითონ მე ვთხოვ მას მომიტევოს, რო გავძარცვე. მე რო მასთან ვიმყოფებოდი, გული მაშინ ულმობელი ჰქონდა, შეუბრალებელი ქვასავით და მეც იმასავით თვით მოყვარე შევიქენი. გავიგე, რო იგი ეხლა გაგულკეთილდა და სამაგალითო პატიოსანი და სამართლიანი კაცი დადგა. მე მისი არაფერი მინდა. უთხარი: მე შენახული მაქვს ოქროს გვირგვინი, მეფისთვის რო გააკეთა და მისი სხვა განძეულობა. ყველა ეს ერთ გამოქვაბულში დავმალე. მარტო ორმა ჩემმა ამხანაგმა იცოდა ეს ადგილი. ეხლა ორივე მკვდრები არიან. პანდუმ გამოიყოლოს შეიარაღებული ხალხი, მივიდეს იმ ალაგას და უკანვე წაიღოს ის ქონება, რომელიც მე წავართვი".

მაგადუტამ უამბო, სადა იყო გამოქვაბული და სული განუტევა.

ახალგაზდა ბერი პანტაკა კოლშამბში დაბრუნდა. წავიდა ოქრომჭედელთან და უამბო ყველაფერი, რაც ტყეში მოხდა.

პანდუმ გაიყოლა შეიარაღებული რაზმი, მართლა იპოვა გამოქვაბულში მაგადუტას დამალული განძეულობა პატივისცემით მიაბარეს მიწას ყაჩაღთა ბელადი და მისი დახოცილი ამხანაგები. პანტაკამ შემდეგი სიტყვებით მიჰმართა საფლავთან შეკრებილთა:

— „პიროვნება იქმს ბოროტებასა, პირვნებავე იტანჯება იმ ბოროტებასაგან.

„პიროვნება იფარავს თავს ბოროტებისაგან და პიროვნებავე იწმინდება.

„სიწმიდე და უწმიდურება პიროვნების კუთვნილებაა: არავის არ ძალუძს გასწმიდოს სხვა.

„ადამიანი თითონვე უნდა ცდილობდეს განიწმიდოს; ბუდდები მხოლოდ მქადაგებლები და გზის მაჩვენებელნი არიან.

„კარმას ჩვენ, განაგრძო ბერმა პანტაკამ: შივარა, ან ბრამა, ან სხვა რომელიმე ღმერთი კი არ გვინიშნავს,—ჩვენი კარმა ჩვენივე მოქმედებათა შედეგია. ჩემი მოქმედება საშოა, რომელიც მატარებს მე, მემკვიდრეობაა, რომელიც წილად მხვდება, ჩემის ცოდვების კითხვაა, ან ჩემის სიწმიდის კეთილი ნაყოფი. ჩემი მოქმედება ერთად-ერთი საშუალებაა ჩემის ხსნისა".

—

პანდუმ კოლშამბში გადაზიდა თავისი ქონება, ზომიერად სარგებლობდა ასე მოულოდნელად დაბრუნებულის სიმდიდრით; წყნარად და ბედნიერად გაატარა თავისი სიცოცხლე და, როცა კვდებოდა უკვე ღრმად მოხუცებული, შემდეგი ანდერძი დაუტოვა შვილებსა და შვილიშვილებსა:

„შვილებო! სხვას ნუ გაჰკიცხავთ, თუ თქვენ რაიმე გეზნივათ ან უბედურება შეგემთხვათ. მიზეზი თქვენს თავზე დატეხილ უბედურებისა თქვენშივე ეძიეთ და, თუ ცრუ-დიდების გრძნობას და თავმოყვარეობას არ დაუბრმავებიხართ, ჰპოვებთ იმ მიზეზსა. როცა ჰპოვებთ, შეიძლებთ კიდეც ბოროტებისაგან თავის დაღწევას. უბედურებისაგან დამფარავი და გამკურნავი წამალი თქვენშივეა. დეე, ნურასოდეს ნუ გადეფარება მაიის ზეწარი თქვენის გონების თვალებსა... გახსოვდეთ ის სიტყვები, რომელიც ჩემი თილისმა იყო ცხოვრებაში:

„ვინც ზიანს აყენებს სხვას, ბოროტებას უშვრება თავის თავსა.

„ვინც ეხმარება სხვას, ეხმარება თავის თავსა.

„დეე, განქრეს შეცდომა პიროვნების კერძოობისა,—და მაშინ თქვენ სიწმიდის გზით იწყებთ სვლასა".

ნ. ხ—კაცი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა". რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.